ნანუკა კემულარია, ანამარია ჩოხელი, ია სტურუა, ქეთი შენგელია

ლუდვიგშაფენის უნივერსიტეტი, გერმანია

Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ლუდვიგშაფენის უნივერსიტეტში, გერმანია, სადაც მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საინტერესო აკადემიურ და კულტურულ აქტივობებში.

მონაწილეები გაეცნენ უნივერსიტეტის მუშაობის სპეციფიკას, აკადემიურ პროგრამებს, ლაბორატორიებსა და ინფრასტრუქტურას. შეხვედრები გაიმართა კომუნიკაციის სტრატეგიებზე, ასევე მენეჯმენტის, კონტროლისა და მდგრადი განვითარების მიმართულებებზე. კულტურულ ნაწილში მონაწილეებმა მოინახულეს ევროპარლამენტი სტრასბურგში, ჰაიდელბერგი და ჰამბახის ციხესიმაგრე,.

მობილობამ ხელი შეუწყო ჩვენს წარმომადგენლებს, როგორც პროფესიული გამოცდილების გაღრმავებაში, ისე საერთაშორისო კავშირების გაძლიერებასა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმების დასახვაში.